NEWSLETTER

www.employer.ge

მაისი-ივნისი, 2019

საგანმანათლებლო პროექტი „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი“ დაიწყო

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე პროექტის პარნიორის სტატუსით, მისასალმებელი სიტყვით წარსდგა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (ILO) ორგანიზებული საგანმანათლებლო პროექტის - „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი” ოფიციალურად გახსნაზე.

პროექტი, ბიზნესის სტიმულირებისა და განვითარების მიზნით, საქართველოს ყველა რეგიონში, მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის ტრენინგების ჩატარებას ითვალისწინებს.

პროექტის პარტნიორები სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ (მთავარი პარტნიორი), საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო, შემოსავლების სამსახური, ფინანსთა სამინისტროს აკადემია და დამსაქმებელთა ასოციაცია არიან.

პირველ ეტაპზე, პროექტის პარტნიორმა და თანაპარტნიორმა ორგანიზაციებმა უკვე მოახდინეს ტრენერთა ნომინირება. ორი კვირის განმავლობაში მათი გადამზადება მოხდება. სამომავლოდ კი, საქართველოს მასშტაბით, გადამზადებული ტრენერები მიკრო და მცირე მეწარმეებს მოდულებში: „შეიმუშავე შენი იდეა“ და „დაიწყე შენი ბიზნესი“ გადაამზადებენ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროექტი „განავითარე შენი ბიზნესი“ უკავშირდება სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირ მეწარმეობის საგრანტო კომმპონენტს. კერძოდ, საგრანტო კონკურსის მსვლელობისას, ქალი მეწარმეების, შშმ და იძულებით გადაადგილებული პირების მსგავსად, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სერტიფიცირებულ პირებს ერთი ბონუს ქულა დამატებით მიენიჭებათ, თუმცა კონკურენციაში არ შევლენ ჩამოთვლილი კატეგორიების ქვეშ მყოფ პირებთან.

შრომის მომავლის შესახებ კონფერენციაში ელგუჯა მელაძემ მიიღო მონაწილეობა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე მისასალმებელი სიტყვით წარსდგა შრომის მომავლის შესახებ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისა და პროფკავშირების ორგანიზებით გაიმართა.

მისასალმებელ სიტყვაში ბატონმა ელგუჯა მელაძემ მიმოიხილა ბიზნეს სექტორში არსებული მდგომარეობა შრომითი ურთიერთობების შესახებ. ასევე, წარმოადგინა ის გამოწვევები და პრიორიტეტები, რომლებიც აქტუალურია დღეს ბიზნესისთვის შრომის სექტორში.

შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ მთავრობის, პარლამენტის, საერთშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მიიღებენ, მათ შორის თამარ ჩუგოშვილი - საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი, თამარ ბარკალაია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, სერგიუს გლოვაცკასი - შსო/ACTRAV ევროპისა და ცენტრალური აზიის ოფიცერი.

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია სოციალური პარტნიორების წინაშე წარმოადგენს კერძო სექტორის ინტერესებს და მუშაობს ქვეყანაში ბიზნესის კეთებისათვის ლიბერალური პოლიტიკის ჩამოყალიბებისთვის.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და კოლეჯი „სპექტრი“ ინოვაციურ პროექტებს განახორციელებენ

საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრის“ დირექტორმა მათე ტაკიძემ და ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა მელაძემ პროფესიული განათლების ხელშეწყობისა და განვითარების, შრომის ბაზრისა და განათლების სისტემის ურთიერთკავშირის ხელშეწყობის მიზნით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

“ეს მემორანდუმი საქმითაა გაჯერებული. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან ერთად ვახორციელებთ ე.წ „მობილური სახლის“, ინოვაციურ პროექტს, რომელიც უკვე მომზადებულია და უახლოეს მომავალში იგეგმება პრეზენტაცია. აღნიშნული პროექტი მიმართულია პროფესიული განათლების პოპულარიზებაზე. მასში ჩართული იქნებიან სკოლის მოსწავლეები, ზრდასრულები, ბიზნეს სექტორი და სხვა დაინტერესებული პირები. ეს სახლი უნიკალურია იმდენად, რამდენადაც მასში

“კოლეჯ „სპექტრთან“ დიდი ხანია ვთანამშრომლობთ, თუმცა ამჯერად პარტნიორობის უმნიშვნელოვანეს ეტაპზე გადავდივართ, რომელიც ეფუძნება პრემიერისა ინიციატივას და მთავრობის კონცეპტუალურ

მიდგომას პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით. „სპექტრთან“ ერთად დაწყებულ პროექტებში ყურადღება გავამახვილეთ რეგიონებზეც, სადაც სიღარიბის დონე განსაკუთრებით დაბალია. ჩვენს გერმანელ პარტნიორებთან, ექსპერტებთან ერთად დავამუშავეთ უნიკალური პროექტები, რომლის იმპლემენტაციისთვის აუცილებელია ისეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, როგორიც „სპექტრია“. სულ მალე საზოგადოება იხილავს

კონკრეტულ ნაბიჯებს და შედეგებს, რომელიც კერძო სექტორის და პროფესიული სასწავლებლების თანამშრომლობის შედეგად მიიღწევა და სამაგალითოა,“ - ელგუჯა მელაძე.

შეგახსენებთ, რომ დამსაქმებელთა ასოციაციასა სპექტრს შორის დაწყებული თანამშრომლობა სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების

სასერტიფიკაციო პროგრამების იმპლემენტაციას ეფუძნება და მიზნად ისახავს შრომის ბაზარზე კვალიფიკაციის დონის ამაღლებას და ბიზნესის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კადრების მომზადებას.

სანტესერვისი დამსაქმებელთა ასოციაციაში გაწევრიანდა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას ახალი წევრი "სანტექ.სერვისი" შემოუერთდა.

„სანტექ.სერვისი“ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში გაწევრიანებით საქმიანი კავშირების გაფართოებას გეგმავს. აქვე მნიშვნელოვანია, ასოციაციის წევრ კომპანიებს „სანტექ.სერვისი“ არაერთ საინტერესო სიახლეს და განსაკუთრებულ შეთავაზებებს ჰპირდება. კომპანია სანტექ. სერვისი ძირითადი სამუშო წყალსადენ-კანალიზაციის შიდა და კერძო ქსელების საავარიო და სარემონტო სამუშაოების შესრულებაა. ისინი ასრულებენ საკანალიზაციო სისტემებთან დაავშირებულ ყველა იმ სამუშაოს, რასაც არ ემსახურება ქალაქის წყალ-კანალი.

2014 წელს კომპანის მიმართ დაინტერესებული კლიენტების ზრდამ განაპირობა, რომ გაზარდეს გუნდი პროფესიონალი სპეციალისტებით, აღვჭურვეს ყველა საჭირო ტექნიკით / აპარატურით და თანამშრომლებს შეუქმნეს საუკეთესო სამუშაო პირობები.

კომპანია ISO 9001:2015 სერტიფიკატის მფლობელია, რაც კიდევ ერთი გარანტიაა გამართული მენეჯმენტის და ხარისხიანი მომსახურებისთვის. „სანტექ.სერვისი“ ემსახურება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. მეტიც, წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავეს სააბონენტო მომსახურების პრინციპები. ანუ მომხმარებელს, კერძოდ კი იურიდიულ პირებს შესთავაზეს როგორც ერთჯერად, ასევე ინდივიდუალურად მორგებულ 24/საათიან, ულიმიტო სააბონენტო მომსახურებას. აღნიშნულ ბიზნეს სექტორში ,,სანტექ.სერვისი” ერთადერთი კომპანიაა დარგში, რომელიც 24 საათის განმავლობაში კვირაში 7 დღე ზრუნავს, რომ მომხმარებელს მოუგვაროს ნებისმიერი სირთულის პრობლემა, შეუქმნას მშვიდი და კომფორტული გარემო.

კომპანიის შესახებ მეტი ინფორმაცია: http://santeqservice.ge/

დასაქმების პრობლემა არ მოგვარდება მანამ, სანამ პროფესიული განათლებას არ დაეთმობა სათანადო ყურადღება“ - ელგუჯა მელაძე

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრის“ ორგანიზებითა და გერმანიის მთავრობის (BMZ) ხელშეწყობით ე.წ პროფესიული სიმულაციური სახლის (VET House) პრეზენტაციას გაიმართა, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, სკოლის მოსწავლეები და სხვა დაინტერესებული მხარეები ესწრებოდნენ.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის ფარგლებში 2017 წელს შექმნა პროფესიული ორიენტაციის გერმანიაში დანერგილი მეთოდის ანალოგი, ე.წ. პროფესიული სიმულაციური სახლი (VET House), რომელიც სამშენებლო პროფესიების პოპულარიზებას ემსახურება. სიმულაციური სახლი, რომელმაც გასულ წელს 26 სკოლას ესტუმრა და დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში კოლეჯ „სპექტრთან“ ერთად განახლდა. სიმულაციური სახლი ათამდე სამშენებლო პროფესიის სიმულირების საშუალებას აძლევს სკოლის და პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეებს.

„სიმულაციური სახლი გახლავთ გერმანული ბრენდი, რომელიც საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან და გერმანელ პარტნიორებთან ერთად შევქმენით. პროფესიული სიმულაციური სახლი იმოგზაურებს მთელ საქართველოში, სკოლის მოსწავლეებს საშუალება ექნება მონაწილეობა მიიღოს მის მშენებლობაში და უშუალოდ გაეცნოს სამშენებლო სექტორის 10 პროფესიას,“ - მათე ტაკიძე საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრის“ დირექტორი.

გერმანული პრაქტიკის გადმოტანას და დანერგვას შესაბამისი ბაზისი სჭირდება, რომელიც კოლეჯ „სპექტრში“ დავინახეთ, სწორედ ამიტომ დავიწყეთ პროფესიული განათლების პოპულარიზება და ხელშეწყობა სწორედ აქედან. ძალიან ბევრს საუბრობენ ქვეყანაში დასაქმებაზე, ეს პრობლემა არ

მოგვარდება მანამ, სანამ პროფესიული განათლებას არ დაეთმობა სათანადო ყურადღება. პროფესიები განახლებადია და ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს სასწავლო

მოდულების განახლება, რათა მომზადდეს თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი კადრები. ამ მიზნის მიღწევას ემსახურება ბიზნეს სექტორის საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის სახით და პროფესიული სასწავლებლების მსგავსი პროექტების ფარგლებში გაერთიანება," - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე.

პრეზენტაციაზე მისასალმებელი სიტყვით წარდგნენ განათლებისა და ხარისხის მიმართულებითკოლეჯის „სპექტრი" მრჩეველი და საერთაშორისო ექსპერტი ლუტც შმიდტი და პროფესიული განათლბისა და სწავლების პროექტის გრძელვადიანი ექსპერტი მარიო რადომსკი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ და კოლეჯმა „სპექტრი" ხელი მოაწერეს

ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც გულისხმობს აღნიშნული სიმულაციური მოდულის ერთობლივ პოპულარიზაციას სამშენებლო პროფესიების წასახალისებლად ახალგაზრდებში და სხვა ერთობლივ აქტივობებს პროფესიული განათლების შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად საზოგადოებაში.

სიმულაციური სახლის პრეზენტაცია საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრში" გაიმართა.

ხონში პროფესიული დუალური სწავლების პრაქტიკის დანერგვისთვის საწარმოებისა და კოლეჯების წარმომადგენლები გადამზადდებიან

6 მაისს ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში საქართველოს დამსქმებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და გერმანიის ფედერალური სამინისტროს BMZ-ის მხარდაჭერით რეგიონში პროფესიული დუალური სწავლების განვითარებისთვის საწარმოებისა და კოლეჯების წარმომადგენლებისთვის ერთკვირიანი ტრენინგი გაიხნა.

ტრენინგის გახსნას ხონის მუნიციპალიტეტის მერი ლადო ჯურხაძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ბესიკ გოფოძე, საკრებულოს თავმჯდომარე ვალერი ბახტაძე, პროექტის გერმანელი ექსპერტი მარიო რადამსკი, პროექტის ეროვნული კოორდინატორი ელენე მახარაშვილი და ადგილოვრივი საწარმოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ტრენინგი მიზნად ისახავს ე.წ. **„მულტიპლიკატორების/ინსტრუქტორების“** მომზადებას კოლეჯებისა და საწარმოთა დონეებზე, რომლებიც შემდგომში გაუძღვებიან თავიანთ ინსტიტუტციებში დუალურ სწავლებას გერმანული გამოცდილებისა და ნოუ-ჰაუს, ასევე პრაქტიკული მიდგომების კუთხით, კერძოდ, საწარმოო სწავლების პროცესის მართვა, კადრების მოზიდვა და შენარჩუნება, ინსტრუქტორის როლი, შეფასები სქემები, ოთხსაფეხურინი მეთოდოლოგია და ა.შ.

ტრენინგის მონაწილეების, რომლებიც ინსტრუქტორებად გადამზადდებიან, შერჩევა ადგილობრივი პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა და მათ შორის მოხვდნენ ისეთი სასწავლებლები, როგორებიცაა საზოგადეობრივი კოლეჯები - თეთნულდი, ფაზისი, სპექტრი, პრესტიჟი და ახალი ტალღა. სწავლების დასასრულს მონაწილეებს გადაეცემათ სერთიფიკატები და „ინსტრუქტორის სახელმძღვანელო“.

როგორც უკვე აღინიშნა, ტრენინგი ემსახურება დუალური სწავლების წახალისებას. კერძოდ, საგანმანათლებლო ინსტიტუტებისა და ბიზნესის მჭდრო თანამშრომლობის ხელშეჭყობას, საწარმოთა ჩართულობის გაძლიერებას საგანმანათლებლო აქტივობებში, ახალგაზრდათა და ზრდასრულთა მომზადება-გადამზადებას, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ზრდას, დასაქმების ხელშწყობას და რეგიონალურ გაძლიერებას.

შეგახსენებთ, რომ ტრენინგი „პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტის“ ფარგლებში მიმდინარეობს, რომლის ორგანიზატორი საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაა, ხოლო ფინანსურ მხარდაჭერას გერმანიის ფედერალური სამინისტრო BMZ უზრუნველყოფს.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას ახალი წევრი Shota Rustaveli Boutique Hotel შემოუერთდა



საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას ახალი წევრი „Shota Rustaveli Boutique Hotel“ შემოუერთდა. სასტუმრო ორიგინალური სტილითა და კონცეფციითაა გამორჩეული. თანამედროვე, სადა და დახვეწილი დიზაინი თავიდანვე მიიქცევს თქვენს ყურადღებას. სასტუმროს რესტორანი „მელოგრანო“ აქცენტს კლასიკურ ქართულ და იტალიურ სამზარეულოზე აკეთებს. ახალი, ადგილობრივი პროდუქტებისგან მომზადებული უგემრიელესი კერძები ყველაზე პრეტენზიულ გურმანებსაც არ ტოვებს გუგრილს. რესტორნის გვერდით მდებარე ოთახში, პატარა ღვინის მაღაზიაა. აქ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაყენებული 100-მდე სახეობის საუკეთესო ღვინო ინახება. სასტუმროს რამდენიმე



დამატებითი სივრცე აქვს - აუზი, სატრენაჟორო დარბაზი და შეხვედრების ოთახი, რომელიც 50 ადამიანს იტევს. აქ ყველა საჭირო აღჭურვილობაა, რაც შეიძლება სხვადასხვა ღონისძიებებისთვის დაგჭირდეთ.

SHOTA RUSTAVELI BOUTIQUE HOTEL

გთავაზობთ სივრცეს კონფერენციების, ტრენინგების, სემინარებისა და პრეზენტაციების ჩასატარებლად.

საკონფერენციო დარბაზი 50 ადამიანს იტევს. აქ ყველა საჭირო აღჭურვილობაა, რაც შეიძლება სხვა დასხვა ღონისძიებებისთვის დაგჭირდეთ.

მისამართი: შევჩენკოს ქ. N1. T: +995 32 2 19 20 21

Email: requests@shotahotels.com

დამსაქმებელთა ასოციაცია წევრი კომპანიების 25 წარმომადგენელს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ტრენერებად გადაამზადებს

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO/DANIDA) ეგიდით **კორპორატიული სოციალური პასუხისმგელობისა და პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის** (CSR/RBC) შესახებ ტრენინგი გაიხსნა. ღონისძიებაზე უახლოეს მომავალში დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი კომპანიების 25 წარმომადგენლის კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ტრენერებად გადამზადება დაანონსდა. ამის მიზეზად კი ბიზნეს წრეებში საკითხისადმი მზარდი მოთხოვნა და ინტერესი დასახელდა. დამსაქმებელთა ასოციაცია შრომის

საერთაშორისო ორგანიზაციის საერთაშორისო ტრენინგ ცენტრის (ITCILO) მხარდაჭერით განახორციელებს აღნიშნულ პროექტს.

„ორდღიანი ტრენინგი ხელს შეუწყობს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის წახალისებას დამსაქმებელთა ასოციაციის წევრებში, თავად ასოციაციის შიდა პოლიტიკისა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას ამ მიმართულებით და ზოგადად ბიზნეს სექტორში ცნობიერების ამაღლებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხი დამსაქმებელთა ასოციაციისთვის, როგორც

ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანი ბიზნეს გაერთიანებისთვის, მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევა (CSR/RBC) ხელს უწყობს მდგრად განვითარებას ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით," - ელენე მახარაშვილი, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია.

ღონისძიება სოციალურმა პარტნიორებმა, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა მელაძემ, პროფესიული კავშირების გაერთიანების ვიცე-პრეზიდენტმა ეთერი მათურელმა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა მარიამ ჯაჯანიძემ და ILO-ს რეგიონული ოფისის დამსაქმებელთა უფროსი სპეციალისტი ვლადიმერ ჩუროვიჩმა გახსნეს. გარდა ამისა, ტრენინგის ფარგლებში კომპანია „დიოს“ დამფუძნებელმა და დირექტორმა ირმა დაუშვილმა საკუთარი კომპანიის გამოცდილება კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ბიზნეს სექტორს და სხვა დაინტერესებულ პირებს პრეზენტაციის სახით გაუზიარა.

ღონისძიება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

დამსაქმებელთა ასოციაციაში კორპორატიული სოციალური პასუხიმგებლობის შესახებ ტრენინგი გაიმართა

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ტურინის საერთაშორისო სატრენინგო ცენტრის მოწვეულმა ექსპერტმა ხორხე ილინგვორსმა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი კომპანიების წარმომადგენლებს კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობისა და პასუხისმგებლიანი ბიზნეს ქცევის (CSR/RBC) შესახებ ორდღიანი ტრენინგი ჩაუტარა.

ტრენინგი მიზნად ისახავდა ბიზნეს სექტორისთვის CSR/RBC საკითხების შესახებ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, რაც განსაკუთრებით ღირებულია იმის გათვალისწინებით, რომ კერძო სექტორში კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხებით ინტერესი მზარდია, თუმცა დეფიციტურია შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება.

ტრენინგის ფარგლებში განიხილეს ისეთი საკითხები, როგორებიცაა CSR/RBC -ის ფუნქცია და როლი კომპანიაში; როგორ შეუძლია CSR/RBC -ს ფასეულობათა არამატერიალური აქტივის ზრდა კომპანიისთვის; კომპანიათა კარგი და ცუდი პრაქტიკა CSR/RBC-სთან მიმართებაში; შეიმუშავეს CSR/RBC-ს სტრატეგიისა და კომუნიკაციის დოკუმენტის მონახაზი და ა.შ. ასევე, იმსჯელეს CSR-თან დაკავშირებით მიმდინარე სიტუაციის შესახებ ქართულ კომპანიებში. ტრენინგი დასასრულს მონაწილეებს შრომის საერთაშორიო ორგანიზაციის საერთაშორისო სატრენინგო ცენტრის (ITCILO) სერტიფიკატები გადაეცათ. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია აღნიშნული საკითხის საპასუხოდ წევრი კომპანიების წარმომადგენლებს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მხარდაჭერით წევრი კომპანიების წარმომადგენლების სამომავლოდ ტრენერების გადამზადებას სთავაზობს.

დამსაქმებელთა ასოციაციაში 80-მდე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტმა სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული სერტიფიკატი მოიპოვა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოსამზადებელი პროგრამის ფარგლებში გადამზადებულ 80-მდე კომპანიის წარმომადგენელს სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული სერტიფიკატები გადაეცათ.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებმა 130 საათიანი პრაქტიკული და თეორიული მომზადება გაიარეს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №01-25/ნ ბრძანებით გათვალისწინებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აკრედიტებული პროგრამის მოცულობის, განხორციელების წესისა და პირობების შესაბამისად. ხოლო კურსის დასასრულს მონაწილეებმა სასერტიფიკაციო გამოცდა ჩააბარეს.

„შრომის უსაფრთხოების საკითხები ჩვენი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით ბიზნეს სექტორისთვის, უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა ამ ეტაპზე. შესაბამისად, ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ბიზნეს სექტორისთვის კონსულტაციების, აუდიტების, კადრების გადამზადებისა და სხვა სერვისების მიწოდებით ცდილობს ბიზნეს სექტორს ხელი შეუწყოს კანონის საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებთან ადაპტირებაში. ამ მიზნით, დამსაქმებელთა ასოციაცია ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია გახდა, რომელმაც სახელმწიფოსგან მოიპოვა უფლება მოამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ამ ეტაპზე სწავლებას ძირითადად მომეტებული საფრთხის მქონე, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოების ნუსხაში წარმოდგენილი კომპანიების უსაფრთხოების სპეციალისტები გადიან. 2019 წლის სექტემბრიდან კანონის მიხედვით სავალდებულო ხდება ნებისმიერი ბიზნეს სექტორის წარმომადგენელ კომპანიაში დასაქმებული იყოს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი, შესაბამისად, გაიზრდება სასერტიფიკაციო პროგრამის გავლის მსურველთა რიცხვი, შესაბამისად, გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად იგეგმება კურსების ორგანიზება რეგიონებშიც," - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე.

დამსაქმებელთა ასოციაციაში აკრედიტებულ პროგრამას საერთაშორისო გამოცდილების მქონე შრომის უსაფრთხოების ექსპერტები და ტრენერები უძღვებიან.

ამ ეტაპზე პროგრამას 200-ზე მეტი მონაწილე გადის, მათ შორის არიან როგორც კომპანიების წარმომადგენლები, ისე შრომის უსაფრთხოების სპეციალობის დაუფლების მსურველი ფიზიკური პირები.

დამსაქმებელთა ასოციაცია გერმანულ-ქართული პროფესიული განათლების დღეებში მონაწილეობდა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ მონაწილეობა მიიღო 15-16 ივნისს გამართულ ღონისძიებაზე - „უნარები საქართველოსთვის - პროფესიული განათლების ქართულ-გერმანული დღეები“.

მასშტაბური ღონისძიების მასპინძლები საქართველოსა და გერმანიის მთავრობის წარმომადგენლები იყვნენ. ღონისძიება - „უნარები საქართველოსთვის“ სამი ნაწილისაგან შედგებოდა: დარგობრივი კონფერენცია Expert to Expert talks, სახალხო ღონისძიება და Skills4Georgia talks.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე მოდერატორის სტატუსით უძღვებოდა სამუშაო ჯგუფებს, რომლებშიც კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიულ განათლებაში განიხილებოდა.

ამასთან, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს ასოციაციის მიერ 2016 წლიდან დღემდე მიმდინარე პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტითს შესახებ აწვდიდა ინფორმაციას. ასევე, საზგადოებრივ კოლეჯ სპექტრთან ერთად წარმოადგინა ე.წ

პროფესიული სიმულაციური სახლი (კონსტრუქტორი სახლი), რომელიც კონკრეტული დარგის სპეციალისტების ზედამხედველობის ქვეშ სამშენებლო პროფესიებით დაინტერესებულმა ახალგაზრდებმა ააშენეს.

პროფესიული განათლების ქართულ-გერმანული დღეები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, თბილისის მერიის, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს და საქართველოში გერმანიის ფედერალური რესპულიკის საელჩოს მხარდაჭერით გახორციელდა.

სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის პრაქტიკა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებისთვის

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციაში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მოსამზადებელი აკრედიტებული პროგრამის ფარგლებში კურსის მონაწილეებისთვის სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის პრაქტიკული სწავლება გახორციელდა.

სწავლება მოიცავდა სიმაღლეზე სამუშაოების უსაფრთხოდ ჩატარების ძირითად მოთხოვნებსა და პრევენციულ ღონისძიებებს ისეთ გარემოში, სადაც არსებობს 2 მეტრის და მეტი სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე.

სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის სასწავლო მოდული დაფუძნებულია შრომის უსაფრთხოების კანონს და სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის ტექნიკურ რეგლამენტს. შესაბამისად, კურსის მონაწილეებმა მიიღეს თეორიული ცოდნა და გაიუმჯობესეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები არსებული მოთხოვნების შესაბამისად.

130 საათიანი კურსის ფარგლებში პრაქტიკული წავლება ხორციელდება პირველადი სამედიცინო დახმარების, სამშაო ადგილზე რისკების შეფასების, სიმაღლეზე უსაფრთხოდ მუშაობის, სახანძრო უსაფრთხოების და სხვა მოდულების შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია საკითხის მნიშვნელობისა და აქტუალურობიდან გამომდინარე, აღნიშნული მოდულის სწავლების ფარგლებში დამატებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ შემოთავაზებულ მასალებსაც იყენებს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონფერენცია ჟენევაში

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა მელაძე შვეიცარიაში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, შრომის საერთაშორისო კონფერენციის 108-ე სესიაში მონაწილეობს.

კონფერენციას, რომელსაც ხშირად შრომის საერთაშორისო პარლამენტს უწოდებენ, რამდენიმე ძირითადი ამოცანა აქვს.

- შრომის საერთაშორისო სტანდარტების შემუშავება და მიღება კონვენციებისა და რეკომენდაციების სახით.
- ეროვნულ დონეზე კონვენციებისა და რეკომენდაციების დანერგვის ზედამხედველობა.
- ფორუმზე განიხილება მთელი მსოფლიოს მნიშვნელობის სოციალური და შრომითი საკითხები.
- ფორუმის ფარგლებში მთელი მსოფლიოდან წარმოდგენილი დელეგატები სოციალურ პროგრესს გაეცნენ. ამასთან განხილვის ძირითად თემა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ყოველწლიური ანგარიშია.
- კონფერენცია ასევე გამოიცემა რეზოლუციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ILO- ს ზოგადი პოლიტიკისა და სამომავლო ღონისძიებების გატარებას.

შრომის საერთაშორისო კონფერენციის 108-ე სესიაში საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი სახელმწიფო დელეგაციის წევრის რანგში იმყოფება და გლობალური მნიშვნელობის შეხვედრაში, საქართველოს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის- პარტნიორის სტატუსით მონაწილეობს

GEA ASSOCIATION EMPLOYERS GEORGIAN

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

მის.: 0159, საქართველო, თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. №106

ტელ.: +995 32 2 14 72 72

მობ.: +995 579 555 551

ელ-ფოსტა: employer@employer.ge

www.employer.ge